ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 98

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მრევლიშვილის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.12.12.024.148.) ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიისთვის" (ს/კ: 402008046) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" პუნქტის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 მარტის №11.26.287 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, მრევლიშვილის ქუჩაზე მდებარე 719 კვმ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა - ნაგებობების ა(ა)იპ - "თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიასთვის" (ს/კ: 402008046) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი